გიორგი გოგიაშვილი
ავტობიოგრაფია

დავიბადე 1971 წელს ქ. კასპში; 1989 წელს დავამთავრე კასპის რაიონის სოფ. ზემო ხანდაკის საშუალო სკოლა. 1994-1999 წელს წარჩინებით დავამთავრე თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, მომენიჭა იურისტის კვალიფიკაცია. 1999 წელს გავიარე სტაჟირება ცენტრალური ევროპის უნივერისტეტში (ქ.ბუდაპეშტი) შედარებით კონსტიტუციურ სამართალსა და შედარებითი ადმინისტრაციულ სამართალში. 1999 წელს დავიცავი სამეცნიერო დისერტაცია კონსტიტუციურ სამართალში, მომენიჭა სამართლის დოქტორის სამეცნიერო ხარისხი. 1994-1997 წლებში მუშაობა დავიწყე საქართველოს პროკურატურაში გამომძიებლად. 1998-2001 წლებში ვმუშაობდი USAID-აშშ-ს განვითარების სააგენტო, / Booz-Allen & Hamilton პროექტის იურისტად. 2001 წელს დავინიშნე თბილისის საოლქო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილედ; 2004-2005 წლებში ვიყავი თბილისის საოლქო სასამართლოს თავმჯდომარე, ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის თავმჯდომარე. 2004-2005 წლებში ვიყავი ევროკავშირის კანონის უზენაესობის მისია- „***EUJUST- THEMIS***" სასამართლოს დამოუკიდებლობის გაძლიერების კონცეფციის შემმუშავებელი ჯგუფის ხელმძღვანელი. 2005-2010 წლებში ჩარიცხული ვიყავი მოსამართლეთა რეზერვში; 2006-2016 წლებში ვიმსახურე საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მთავარი სპეციალისტის თანამდებობაზე (იურისტი). 2016 წლის ივლისში სამწლიანი გამოსაცდელი ვადით დავინიშნე თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მოსამართლედ. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2017 წლის 20 ოქტომბრის 1/268 გადაწყვეტილებით უვადოდ გამამწესეს თბილისის სააპელაციო სასმართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მოსამართლედ კანონით დადგენილი ასაკის მიღწევამდე.

სხვადასხვა დროს ვკითხულობდი ლექციებს თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში, კავკასიის უნივერსიტეტსა და საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივესიტეტებში; ვარ იუსტიციის უმაღლესი სკოლის ექსპერტი-ლექტორი. გამოქვეყნებული მაქვს სამეცნიერო შრომები, მათ შორის ხუთი მონოგრაფია: „შედარებითი ფედერალიზმი" (2000 წელს); „შედარებითი კონსტიტუციური სამართალი" (2014 წელს); „სამოსამართლო სამართალი" (2014 წელს); „კონსტიტუციური სამართალი" (ა. დემეტრაშვილთან თანაავტორობით, 2016 წელს); „შედარებითი კონსტიტუციური სამართალი" (2019 წელს). 2015 და 2016 წლებში სამეცნიერო მივლინებით ვიმყოფებოდი ესპანეთში კატალონიის ავტონომიურ უნივერსიტეტსა და ბელგიის ფლანდრიის უნივერსიტეტში. ვარ საქართველოს ტერიტორიული მოწყობის კონცეფციის თანაავტორი, ასევე სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიაში წარდგენილი საქართველოს კონსტიტუციის პროექტის თანაავტორი. 2015 წელს გავიმარჯვე შოთა რუსთაველის სახელმწიფო სამეცნიერო ფონდის მიერ გამოცხადებულ ფუნდამენტური კვლევების შესახებ კონკურსში.

გავლილი მაქვს ტრენინგები - "საჯარო ადმინისტრაციის ცვლილებათა სტრატეგიის" სასწავლო კურსი (2001 წ. ლონდონი, დიდი ბრიტანეთი);" რელიგიური ტოლერანტობა" (2002 წ. ვაშინგტონი, ოკლაჰომა, ჩრ.კაროლინა);"ტრანსანაციონალური ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლა" (2002 წ. ბუდაპეშტი, უნგრეთი); "ახალი ტექნოლოგიები ორგანიზებულ დანაშაულთა წინააღმდეგ საბრძოლველად" (2004 წ. ბუდაპეშტი, უნგრეთი); "ურთიერთთანამშრომლობა ფინანსური დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლაში" (2004 წ. ვაშინგტონი და ნიუ ორლეანი); "სასამართლოს სიტემათა დახვეწის სტრატეგიული დაგეგმარება" (2005 წ. ვაშინგტონი); „სასამართლოს დამოუკიდებლობის გაძლიერების სტრატეგია" (2005 წ. პრაღა, ჩეხეთი); სასამართლოს მენეჯმენტის კუთხით (2018 წელს აშშ, ვაშინგტონი, სან-ფრანცისკო), ასევე გაეროს 1951 წლის ლტოლვილთა შესახებ კონვენციის გამოყენების თეორიისა და პრაქტიკის შესახებ ტრენინგი (UNHCR , 2018 წელი ბიშკეკი, ყირგიზეთი) .

ვარ უნგრეთის შედარებითი სამართლის აკადემიის წევრი და აფხაზეთის ავტონომირი რესპუბლიკის ეროვნული სამეცნიერო აკადემიის წევრი. მყავს მეუღლე და სამი შვილი.